Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 8 Issue 3, 2026
https://doi.org/10.52340/gs.2026.08.03.21

სქროლვიდან სიღრმემდე: ინტენსიური კითხვა ციფრულ აჩქარებულ ეპოქაში

შორენა სიგუა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ანოტაცია

21-ე საუკუნის საინფორმაციო სივრცეში ციფრული ტექნოლოგიების, სოციალური მედიის პლატფორმებისა და ხელოვნური ინტელექტის სწრაფმა განვითარებამ ფუნდამენტურად შეცვალა ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და ტექსტთან ურთიერთობის ტრადიციული ფორმები/მიდგომები. ცხოვრების აჩქარებულმა ტემპმა წარმოშვა ინფორმაციის ზედაპირული აღქმის – „სქროლვის“, სკიმინგისა (Skimming) და სკანირების (Scanning) – გაბატონებული პრაქტიკა, რაც აფერხებს აკადემიური აზროვნებისთვის აუცილებელ სიღრმისეულ ანალიზს. წინამდებარე კვლევა კომპლექსურად შეისწავლის ციფრული ფრაგმენტაციის სოციოკოგნიტურ შედეგებს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უცხოური (ინგლისური) ენის ათვისების პროცესს.

სტატიაში მთავარი აქცენტი კეთდება „ინტენსიური კითხვის“ (Intensive Reading) კონცეფციაზე, როგორც ენობრივი კომპეტენციის, კრიტიკული აზროვნებისა და სიღრმისეული გააზრების აღდგენის აუცილებელ პედაგოგიურ ინსტრუმენტზე ქართველი სტუდენტებისთვის. თვისებრივი და დოკუმენტურ-ანალიტიკური მეთოდოლოგიის საფუძველზე სტატიაში განხილულია ეკრანზე დაფუძნებული „ჰიპერკითხვის“ მექანიზმები და მისი დაპირისპირება ხაზოვან/აკადემიურ კითხვასთან.

სტატია გვთავაზობს პრაქტიკულ სტრატეგიებსა და დიდაქტიკურ მოდელებს, რომლებიც მიზნად ისახავს ციფრული ეპოქის გამოწვევების საპასუხოდ აუდიტორიაში სიღრმისეული კითხვის კულტურის რეაბილიტაციასა და აკადემიური ჩართულობის ამაღლებას.

საკვანძო სიტყვები: ინტენსიური კითხვა, ციფრული ფრაგმენტაცია, სქროლვა, კრიტიკული აზროვნება, ინგლისური ენის პედაგოგიკა, ჰიპერკითხვა.

1. შესავალი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია იმ ცვლილებების შესწავლა, რაც ციფრულმა ეპოქამ ჩვენს აზროვნებაში (შე)მოიტანა და იმის გარკვევა, თუ როგორ შეიძლება სწავლისა და კითხვის ტრადიციული მიდგომის დაბრუნება საუნივერსიტეტო სივრცეში – განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ქართველი სტუდენტების მიერ ინგლისური ენისა და უცხოენოვანი აკადემიური ტექსტების შესწავლას.

21-ე საუკუნის საინფორმაციო ველში, რომელიც ხასიათდება სოციალური მედიის პლატფორმებისა და ხელოვნური ინტელექტის ალგორითმების დომინირებით, ფუნდამენტურად შეიცვალა ინფორმაციის მოპოვებისა და კრიტიკული ანალიზის მოდელები. დღეს, როდესაც ინფორმაციული ნაკადი ჭარბია და მყისიერად ხელმისაწვდომი, მთავარ გამოწვევად მისი გააზრებული დამუშავება იქცა. აჩქარებულმა რიტმმა და ციფრული გაჯეტების მიმზიდველმა თავისებურებებმა წარმოშვა ტექსტის ფრაგმენტულად აღქმის პრაქტიკა.

აღნიშნული ტენდენცია პირდაპირ აისახება ინდივიდის კოგნიტურ ფუნქციებზე, კერძოდ, ხანგრძლივი კონცენტრაციის უნარსა და ინფორმაციის სინთეზზე. ტრადიციული, ხაზოვანი კითხვა, რომელიც გულისხმობს არგუმენტთა ჯაჭვის მიყოლასა და კონტექსტუალურ სიღრმეში შესვლას, ხშირად ჩანაცვლებულია ეკრანზე დაფუძნებული „ჰიპერკითხვით“. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ ბარიერებს ქმნის უცხოური ენის აუდიტორიაში, სადაც ენობრივი ბარიერისა და ციფრული ზედაპირულობის სინერგია სრულად ბლოკავს ტექსტის ანალიტიკურ აღქმას. წინამდებარე კვლევა შეისწავლის ციფრული ფრაგმენტაციის შედეგებს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში და ინტენსიურ კითხვას განიხილავს როგორც ინტელექტუალურ მექანიზმს, რომელიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას, დაძლიონ როგორც ენობრივი, ისე ინფორმაციული „ხმაური“. კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს აზროვნების უნივერსალური ელემენტები. ნაშრომი მიზნად ისახავს, დაადგინოს ზღვარი ტექნოლოგიურ კომფორტსა და აკადემიურ ზედაპირულობას შორის და შემოგვთავაზოს პრაქტიკული მოდელები, რომლებიც ქართველ სტუდენტებს დაეხმარება, „სქროლვის“ პასიური მდგომარეობიდან გადავიდნენ უცხოენოვანი ტექსტის დეტალური ჩაშლისა და სიღრმისეული კითხვის რეჟიმში.

საინტერესოა ისტორიული პარალელის გავლებაც: ანტიკურ ხანაში, ჯერ კიდევ ჰომეროსის ეპოქაში, პოემები, ზღაპრები და თქმულებები ზეპირსიტყვიერებით, თაობიდან თაობას გადაეცემოდა. იმ პერიოდში განსაკუთრებული დატვირთვა მოდიოდა ადამიანის მეხსიერებასა და გონებრივ რესურსებზე – ძველი ეპოქის მოაზროვნეები შიშობდნენ, რომ დამწერლობისა და წიგნის შემოსვლა ადამიანის გონებას „დააჩლუნგებდა“ და ზეპირ შემოქმედებას განადგურებით დაემუქრებოდა. მსგავსი პროცესი მეორდება საუკუნეების შემდეგაც, ოღონდ უკვე ახალ, ციფრულ რეალობაში,

სადაც სერიოზული საფრთხის ქვეშ დადგა კლასიკური წიგნიერება, კითხვის კულტურა და უცხოური ტექსტის ღრმა გააზრება. თუმცა, ყოველგვარი პანიკა და ნაადრევი შიში უადგილოა: ისევე, როგორც ზეპირსიტყვიერება არ გამქრალა დამწერლობის გამოჩენასთან ერთად, არც წიგნიერება დაიკარგება კიბერსამყაროში. მთავარია, სწორი ძალისხმევით, წიგნსა და ინტენსიურ კითხვას ჩვენსავე საგანმანათლებლო და საკლასო სივრცეში შეუცვლელი ადგილი შევუნარჩუნოთ.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

ციფრულ ეპოქაში ტექსტთან ურთიერთობის ფუნდამენტური გარდაქმნა თანამედროვე აკადემიური დისკურსის ერთ-ერთ ძირითად საკითხად იქცა. კვლევები ცხადყოფს, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების დომინირებამ მკითხველის აღქმის მოდელები და ტექსტის დამუშავების ინდივიდუალური მიდგომები ფუნდამენტურად შეცვალა, რასაც განსაკუთრებული სიმწვავით ვხვდებით აუდიტორიებში, სადაც სტუდენტები უცხოურ, კერძოდ, ინგლისურ ენას ეუფლებიან. ძირითადი ცვლილებები რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოებით გამოიხატება:

- **კითხვის დინამიკა:** ფურცლიდან ეკრანზე გადასვლამ კითხვა უფრო ფრაგმენტული და სწრაფი გახადა. ინფოპროდუქტს ახლა უფრო ხშირად თვალს ვავლებთ, ვიდრე კლასიკური, ღრმა გააზრებით ვუღრმავდებით.
- **ჰიპერტექსტურობა:** ციფრული სივრცე ტექსტს სტატიკურს არ ტოვებს – ბმულები, ვიზუალური მასალა და ინტერაქციული ელემენტები ერთიან, ცოცხალ ქსელს ქმნიან, რაც იწვევს უცხოენოვან ტექსტზე კონცენტრირებული სტუდენტის ყურადღების გაფანტვას.
- **მკითხველის როლი:** აუდიტორია პასიური დამკვირვებლიდან აქტიურ მონაწილედ იქცა, რომელიც **აქტიურად ერთვება კითხვასა და წაკითხულის ღრმად გააზრებაში.**

თანამედროვე მკვლევრები, რომლებიც ციფრული კითხვის ფენომენს სწავლობენ, ერთხმად აღნიშნავენ „ყურადღების დეფიციტისა“ და ფრაგმენტული აღქმის მკვეთრ ზრდას. ნიკოლას კარი (Carr, 2010) თავის ფუნდამენტურ ნაშრომში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინტერნეტის არქიტექტურა და ციფრული ინტერფეისები ადამიანის ტვინს აჩვევს ზედაპირულობას, რის გამოც მკითხველი უარს ამბობს ხაზოვან, სიღრმისეულ კითხვაზე და გადადის ინფორმაციის მყისიერი „სკანირების“ (Scanning) რეჟიმში. ამ პოზიციას იზიარებს კოგნიტური ნეირომეცნიერი მერიენ ვულფი (Wolf, 2018), რომელიც მიუთითებს, რომ ეკრანზე დაფუძნებული კითხვა ცვლის ტვინის ნეირონულ წრედებს – მცირდება ანალიტიკური და ემპათიური კითხვის უნარი. ციფრული პლატფორმების მიერ შექმნილი ინფორმაციული ხმაური წარმოშობს „ჰიპერკითხვის“ (Hyper-reading) ეპოქას (Hayles, 2012), სადაც მთავარი აქცენტი გადატანილია მონაცემთა სწრაფ ფილტრაციაზე და არა უცხოენოვანი მასალის შინაარსობრივ გააზრებაზე.

ფილოლოგიური პედაგოგიკისა და ენის ათვისების თეორიებში ინტენსიური კითხვა (Intensive Reading) ტექსტის დეკოდირებისა და სიღრმისეული ანალიზის უალტერნატივო ინსტრუმენტად მიიჩნევა (Nuttall, 2005).

განსხვავებით ექსტენსიური კითხვისგან, რომელიც მიმართულია დიდი მოცულობის მასალის ზოგად გაცნობაზე, ინტენსიური კითხვა მოითხოვს ქართველი სტუდენტისგან მცირე მოცულობის ინგლისურენოვან ტექსტთან ხანგრძლივ, დეტალურ და მრავალშრიან მუშაობას. ეს მეთოდი ავითარებს უცხოური ენის ნიუანსების მიმართ მგრძნობელობას, არგუმენტაციის ლოგიკური ჯაჭვის მიყოლასა და ავტორის თვალსაზრისის კრიტიკულ შეფასებას. აკადემიურ ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ სწორედ ინტენსიური კითხვა წარმოადგენს იმ მეთოდოლოგიურ საპირწონეს, რომელიც ეხმარება სტუდენტს, დაძლიოს სქროლვის პასიური ჩვევა და ინგლისურ ტექსტთან აქტიურ, ანალიტიკურ დიალოგში შევიდეს.

ტექსტის სიღრმისეული გააზრება წარმოუდგენელია იმ ინტელექტუალური სტანდარტების გარეშე, რომლებსაც თანამედროვე პედაგოგიკა ეყრდნობა. რიჩარდ პოლისა და ლინდა ელდერის (Paul & Elder, 2019) კრიტიკული აზროვნების მოდელის მიხედვით, ნებისმიერი ანალიტიკური პროცესი ეფუძნება აზროვნების ფუნდამენტურ ელემენტებს (მიზანი, საკითხი, ინფორმაცია, ინტერპრეტაციები, დაშვებები და შედეგები), რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს სიცხადის, სიზუსტისა და სიღრმის ინტელექტუალურ სტანდარტებს. უცხოური ენის ათვისებისას ეს მოდელი ეხმარება სტუდენტებს, გასცდნენ ზედაპირულ თარგმანს და ჩაუღრმავდნენ იმ კოგნიტურ სტრუქტურებს, რაზეც აგებულია უცხოენოვანი ავტორის მოსაზრება/არგუმენტაცია.

3. კვლევის მეთოდები

წინამდებარე ნაშრომის კვლევა ემყარება თვისებრივ და დოკუმენტურ-ანალიტიკურ მეთოდებს, კერძოდ – კონტენტ-ანალიზს. აღნიშნული მეთოდების შერჩევა განპირობებულია იმით, რომ ციფრული ფრაგმენტაციის ფონზე კითხვის შეცვლა და ინტენსიური კითხვის მნიშვნელობა საუკეთესოდ სწორედ არსებულ თეორიულ, ფილოლოგიურ და პედაგოგიურ მასალებზე დაკვირვებით ირკვევა, განსაკუთრებით უცხოური ენების სწავლების პრაქტიკაში.

4. განხილვა

ციფრული ფრაგმენტაცია და თანამედროვე სტუდენტის კოგნიტური გამოწვევები

პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, თუ როგორ ცვლის ტექნოლოგიები და ციფრული გარემო ტექსტთან ურთიერთობის წესს ჩვენს სტუდენტებში. როდესაც ქართველი სტუდენტი ყოველდღიურად უყურებს მოკლე ვიდეოებს, სოციალური მედიის პოსტებს და ინფოპროდუქტებს „სქროლავს“, მისი

ყურადღების კონცენტრაცია იფანტება. ამ პროცესში მკითხველი კარგავს ღრმა, ხაზოვანი კითხვის ე.წ. „ძაფს“. შედეგად, იქმნება სიტუაცია, სადაც ინფორმაციის მიღების სიჩქარე იზრდება, ხოლო ენის სიღრმისეული ათვისებისა და კრიტიკული ანალიზის ხარისხი იკლებს.

ინტენსიური კითხვა ციფრული „ხმაურის“ საპირწონეა. ხაზი უნდა გაესვას იმას, თუ რატომ გვევლინება ინტენსიური კითხვა (Intensive Reading) ციფრული ზედაპირულობის დაძლევის მთავარ საშუალებად ინგლისური ენის აუდიტორიაში. როდესაც ვსაუბრობთ ინგლისური ენის სწავლებაზე, ხშირად ვცდებით, როდესაც გვგონია, რომ სტუდენტებს თავად ტექსტის თარგმნა უჭირთ. რეალური გამოწვევა სხვაგანაა: ციფრული სამყაროს გავლენით, ახალგაზრდებს აქვთ ზედაპირული, ინტერნეტსლენგზე აგებული ენობრივი ბაზა, თუმცა უჭირთ კლასიკური ხატოვანი გამონათქვამების, იდიომებისა და ანდაზების აღქმა. მათთვის უცხოა სწორი პრონანსი და „სტრიქონებს შორის წაკითხვის“ კულტურა. სწორედ ამიტომ, ინტენსიური კითხვა არ არის მხოლოდ მექანიკური ლექსიკონით მუშაობა – ეს არის მეთოდი, რითაც სტუდენტებს ვასწავლით პარაფრაზირების ხელოვნებას, ვეხმარებით თანამედროვე სლენგებიდან კლასიკურ იდიომებსა და ხატოვან გამონათქვამებზე გადართვაში და ასე, ცოცხალი და ამ საინტერესო მიდგომებით შევეცდებით ჩავრთოთ და დავაინტერესოთ სტუდენტები ინტენსიური კითხვის პროცესში.

კრიტიკული აზროვნება და აზრის სიღრმისეული რეფლექსია საგანმანათლებლო სივრცეში უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტებია. ტექსტის სიღრმისეული გააზრება წარმოუდგენელია იმ ინტელექტუალური სტანდარტების გარეშე, რომლებსაც თანამედროვე პედაგოგიკა ეყრდნობა. როდესაც ინგლისური ენის კურსზე კითხვა წყდება უბრალო მექანიკური პროცესიდან და ხდება რეფლექსიური, სტუდენტი იწყებს იმის გააზრებას, თუ რა უდევს საფუძვლად ამა თუ იმ მოსაზრებას უცხოურ ტექსტში.

ამდენად, ციფრული ეპოქის გამოწვევები არ უნდა იყოს განხილული როგორც გადაუჭრელი პრობლემა. პირიქით, საუნივერსიტეტო განათლებამ და უცხოური ენების პედაგოგიკამ უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ კლასიკური ინტენსიური კითხვის მეთოდები ორგანულად შეერწყას თანამედროვე სასწავლო პროცესს, რათა სტუდენტებმა შეინარჩუნონ დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების უნარი.

დასკვნა

ამგვარად, ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობისა და არსებული ტენდენციების შეჯერების საფუძველზე, მივდივართ შემდეგ დასკვნამდე:

- სოციალური ქსელებისა და ციფრული გარემოს გავლენით შეიცვალა კითხვის კულტურა: ღრმა ანალიზი ზედაპირულმა კითხვამ ჩაანაცვლა. სტუდენტებს კარგად აქვთ ათვისებული თანამედროვე სლენგები ინგლისურ ენაში, თუმცა უჭირთ კლასიკური ხატოვანი და ფრთიანი გამონათქვამების, იდიომებისა და

ანდაზების გაგება, სწორი პრონანსი და „სტრიქონებს შორის წაკითხვა“, რის გამოც სწავლების პროცესი ახალ მიდგომებს მოითხოვს;

- უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა და ენების სწავლების მეთოდოლოგია სერიოზული გამოწვევის წინაშეა, რადგან ძველი მიდგომები ვეღარ პასუხობს „კლიპური აზროვნებით[38]“ აღზრდილი ახალი თაობის საჭიროებებს;
- მკითხველი ინფორმაციის უბრალო მომხმარებლად იქცა, რომელსაც მიზანმიმართული პედაგოგიური დახმარება სჭირდება; ინტენსიური კითხვის ინტეგრირება ინგლისური ენის სწავლებაში არის სტუდენტებისათვის პერიფრაზირების ხელოვნების სწავლებისა და მათი ინტერესის გაღვიძების რეალური გზა;
- მსმენელი მზად არის ამ ცვლილებებისთვის – ციფრული ფრაგმენტაციის მავნე შედეგების გააზრება და აუდიტორიებში ინტენსიური კითხვის დაბრუნება ხელს შეუწყობს სიღრმისეული ანალიზისა და აკადემიური აზროვნების კულტურის აღდგენას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Baron, Naomi S. *Words Onscreen: The Fate of Reading in a Digital World*. Oxford University Press, 2015.
- Carr, N. (2010). *The Shallows: What the Internet Is Doing to Our Brains*. W. W. Norton & Company.
- Grabe, William, and Fredricka L. Stoller. *Teaching and Researching Reading*. 3rd ed., Routledge, 2019.
- Hayles, N. K. (2012). *How We Think: Digital Media and Contemporary Technogenesis*. University of Chicago Press.
- Nuttall, C. (2005). *Teaching Reading Skills in a Foreign Language*. Macmillan.
- Paul, R., & Elder, L. (2019). *The Miniature Guide to Critical Thinking Concepts and Tools*. Foundation for Critical Thinking Press.
- Turkle, Sherry. *Reclaiming Conversation: The Power of Talk in a Digital Age*. Penguin Press, 2015.

[38] კლიპური აზროვნება (clip thinking) — საინფორმაციო ეპოქის კოგნიტური ფენომენი, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის ფრაგმენტულად, მოკლე კადრებად აღქმასა და ზედაპირულ დამუშავებას.

- Twenge, Jean M. *iGen: Why Today's Super-Connected Kids Are Growing Up Less Rebellious, More Tolerant, Less Happy—and Completely Unprepared for Adulthood*. Atria Books, 2017.
- Thorne, S. L., & Reinhardt, J. (2008). "Bridging activities, new media literacies, and advanced foreign language proficiency." *Computer Assisted Language Learning*.
- Wolf, M. (2018). *Reader, Come Home: The Reading Brain in a Digital World*. Harper.

From Scrolling to Depth: Intensive Reading in the Accelerated Digital Era

Shorena Sigua

Doctor of Political Science, Caucasus International University

Abstract

The rapid development of digital technologies, social media platforms, and artificial intelligence in the 21st century information space has fundamentally changed the traditional approaches of receiving, processing, and interacting with information. The accelerated pace of life has given rise to the prevailing practice of superficial perception of information – "scrolling," skimming, and scanning – which hinders the in-depth analysis necessary for academic thinking. This study comprehensively examines the socio-cognitive consequences of digital fragmentation in the higher education space, paying special attention to the process of acquiring a foreign (English) language.

The article focuses on the concept of "Intensive Reading" as a necessary pedagogical tool for restoring language competence, critical thinking, and in-depth understanding for Georgian students. Based on qualitative and documentary-analytical methodology, the article discusses the mechanisms of screen-based "hyperreading" and its contrast with academic reading.

The article proposes practical strategies and didactic models that aim to rehabilitate a culture of deep reading among the students and increase academic engagement in response to the challenges of the digital age.

Keywords: intensive reading, digital fragmentation, scrolling, critical thinking, English language pedagogy, hyperreading.